

თქვენი უფლებები სამშობიარო ზრუნვაზე



საფეხურებრივი სახელმძღვანელო

NHS Great Glasgow & Clyde მოწოდებულია უზრუნველყოს მაღალი ხარისხის მომსახურება ორსულებისათვის და ასევე უზრუნველყოფს ყველა პაციენტის სამართლიან და პატივისცემით მოპყრობას.

თქვენ გაქვთ უფლებები როდესაც იყენებთ ჩვენს ნებისმიერ სერვისს.

მაგალითად, თქვენ გაქვთ უფლება არ გახდეთ რასიზმის ან რაიმე სხვა დისკრიმინაციის მსხვერპლი.

თქვენ ასევე გაქვთ დამოუკიდებელი მხარდაჭერის უფლება, როგორცაა საქველმოქმედო ორგანიზაციის დახმარება მკურნალობის დროს.

ჩვენი საფეხურებრივი სახელმძღვანელო განმარტავს მოვლის სხვადასხვა ეტაპებს ორსულობის დროს და მის შემდეგ. ეს მოიცავს თქვენს უფლებას ისარგებლოთ თარჯიმნის სერვისით, ასევე თქვენთვის მნიშვნელოვან ტელეფონის ნომრებს და თუ როგორ დაუკავშირდეთ ამ ნომრებს თარჯიმნის დახმარებით.

1

ნაბიჯი 1

დაჯავშნეთ ორსულობის

დანიშნეთ შეხვედრა ბებიაქალთან და დაუკავშირდით ჯავშნის ოფისს, როგორც კი შეიტყობთ, რომ ორსულად ხართ.

ჩვენ მოვუწოდებთ ყველა მომავალ დედას და მათ შორის დედებს რომლებსაც უკვე შვილები ყავთ, რომ დაჯავშნონ მკურნალობა ადგილობრივ სამშობიარო დაწესებულებაში მე-6 და მე-10 კვირებს შორის.

ჯანმრთელობის ტესტები და სკანირება განხორციელდება ორსულობის

ბავშვისთვისაც, ამიტომ მნიშვნელოვანია დაჯავშნოთ ტესტები რაც შეიძლება ადრე და აუცილებელია დაესწროთ ყველა ვიზიტს. თქვენი ბებიაქალი ასევე იმუშავებს თქვენთან, რათა დაგეხმაროთ თქვენი მდგომარეობის გაგებაში და განიხილოს ნებისმიერი დამატებითი დახმარება და მოვლა, რომელიც შეიძლება დაგჭირდეთ ორსულობის დროს.

ჯავშნის ოფისის ნომერი არის

0141 347 8422

თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ სატელეფონო თარჯიმნის დახმარებით რათა განახორციელოთ ეს წარი.



თქვენ გაქვთ უფლება მომუშავე პერსონალისგან მოითხოვოთ თარჯიმნის დახმარება ამ შემთხვევაში და ასევე სხვა ვიზიტების დროს.



2

ნაბიჯი 2

ვიზიტებზე დასწრება

ბებიაქალთან თქვენი ორსულობის პერიოდში, რათა დაგეხმაროთ კომუნიკაციის და ნდობის დამყარებაში. თქვენ გაქვთ უფლება დასვათ შეკითხვები და მოითხოვოთ დეტალური ახსნა-განმარტება იმ შემთხვევაში თუ რაიმე საუბეზარი იქნება.

თქვენი პირველი ვიზიტის დროს, ბებიაქალი სთხოვს თქვენს პარტნიორს ან დამხმარე პირს, რომ დატოვოს ოთახი რამოდენიმე წუთით რათა მოგეცეთ შანსი პირადი შეკითხვების დასმისთვის. ეს არის სტანდარტული პროცედურა ყველა მომავალი დედისთვის.

სარგებლობთ სოციალური დახმარებით, თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ მზავრობის ხარჯების ანაზღაურება. თქვენ ასევე შეიძლება დაგენიშნოთ გრანტი Best Start Grant, Best Start Foods and the Scottish Child Payment (საუკეთესო დასაწყისის გრანტი, საუკეთესო საწყისი საკვები და შოტლანდიელი ბავშვის ანაზღაურება). ამასთან დაკავშირებით გაესაუბრეთ მომუშავე პერსონალს. ასევე, გთხოვთ გაესაუბრეთ თქვენს ბებიაქალს თუ ვიზიტზე დასწრებას ვერ ახერხებთ.

თქვენ გაქვთ უფლება, მიიღოთ ყველანაირი ინფორმაცია თქვენთვის სასურველ ენაზე. ეს შეიცავს ინფორმაციას თუ როგორ უნდა მოუაროთ საკუთარ თავს და ასევე შვილს ორსულობის პერიოდში, ინფორმაცია შემოთავაზებული სამედიცინო ტესტების შესახებ და ასევე ინფორმაცია თუ როგორ უნდა მოემზადოთ მშობიარობისთვის. ასევე მოიცავს ბავშვის მოვლის გეგმას და კვების ვარიანტებს. ორსულობის პერიოდში თქვენი ბებიაქალი ამ ყველაფერს განიხილავს თქვენთან. თუ ჩათვლით, რომ არ მიგიღიათ სათანადო ინფორმაცია, გთხოვთ გაესაუბროთ მომუშავე პერსონალს რომელიც დაგეხმარებათ პრობლემის გადაჭრაში.

3

ნაბიჯი 3

ორსულობის გაკვეთილები

ორსულობის გაკვეთილები მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა თუ როგორ უნდა მოემზადოთ მშობიარობისთვის, რა შეიძლება დაგჭირდეთ პროცესში, როგორ უნდა კვებოთ ბავშვი და როგორ მოუაროთ საკუთარ თავს.

შეგიძლიათ მოითხოვოთ თარჯიმანი ამ გაკვეთილებზე დასასწრებად.

თარჯიმანი დაჯდება თქვენს გვერდით და მშვიდად აგისწიოთ



თუ რა არის ნათქვამი და დაგეხმარებათ კითხვებზე პასუხის გაცემაში.

თქვენს პარტნიორს/მხარდამჭერ პარტნიორს ასევე შეუძლია დაესწროს გაკვეთილებს. ისინი მიიღებენ ინფორმაციას და რჩევებს თუ როგორ დაგეხმარონ ორსულობის პერიოდში, მშობიარობის დროს და ბავშვის დაბადების შემდეგ. ისინი ასევე შეისწავლიან იმ უნარ-ჩვევებს რომლებიც საჭიროა პატარას მოვლისათვის.

ასევე ხელმისაწვდომია ოჯახის დაგეგმვის ინფორმაცია ბავშვის დაბადების შემდეგ.

4

ნაბიჯი 4

მშობიარობის გეგმის შედგენა

მშობიარობის გეგმა უნდა განიხილოთ თქვენს ბებიაქალთან. ეს განხილვა შეიძლება მოიცავდეს იმ საკითხებს თუ ვინ გინდათ ესწრებოდეს მშობიარობას, ასევე თქვენი არჩევანი მშობიარობის დროს მაგალითად, წყალში მშობიარობა, სახლში მშობიარობა, ტკივილის შემსუბუქება, კვება და თარჯიმნის დახმარება.



მომუშავე პერსონალი ყოველთვის ვერ შეძლებს თქვენი არჩევანის გათვალისწინებას მშობიარობის დროს განვითარებული მედიკალური პრობლემების გამო, მაგრამ ყველაფერს აგისწიან იმის მიხედვით თუ როგორ განვითარდება მშობიარობის დროს მოვლენები.

შესაძლოა დაგჭირდეთ მშობიარობის ინდუქცია (მედიკალური ჩარევა). ზოგიერთ ქალს შეიძლება დასჭირდეს საკეისრო კვეთა. თქვენს ბებიაქალს შეუძლია აგისწიოს ეს პროცესები და უპასუხოს თქვენს ნებისმიერ შეკითხვას.

5

ნაბიჯი 5

მშობიარობა

ქალების უმეტესობა მშობიარობს საავადმყოფოში. თუ ფიქრობთ, რომ მშობიარობა დაგეწყით გთხოვთ დაურეკოთ საავადმყოფოს რომელშიც დაჯავშნილი ხართ -

Princess Royal Maternity Hospital

0141 201 3453/3454

Queen Elizabeth Maternity Hospital

0141 232 4363

Royal Alexandra Community Maternity Unit

0141 314 7033

Royal Alexandra Maternity Unit

სამშობიარო განყოფილება

0141 314 6067

Vale of Leven Community Maternity Unit

დილის 8დან-საღამოს 8მდე

01389 817232

Inverclyde Community Maternity Unit

დილის 8დან-საღამოს 8მდე

01475 504619

სამუშაო საათების დასრულების შემდეგ შეგიძლიათ დარეკოთ Royal Alexandra Hospital სამშობიარო განყოფილებაში ნომერზე **0141 314 7033**

თქვენ გაგესაუბრებათ ბებიაქალი და გეტყვით თუ რა უნდა გააკეთოთ. ზარის განსახორციელებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ



სატელეფონო თარჯიმნის სერვისი. მშობიარობისას, თქვენ გაქვთ უფლება მონაწილეობა მიიღოთ ყველა გადაწყვეტილებაში, მათ შორის ტკივილის შემსუბუქებაში. თუ თვლით, რომ არ იღებთ საკმარის ტკივილგამაყუჩებლის დოზას, გთხოვთ უთხრათ დამსწრე პერსონალს ან თუ გნებავთ მოითხოვეთ სხვა მომუშავე პერსონალთან გასაუბრება.

თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ თარჯიმნის დახმარება მშობიარობის დროს.

6

ნაბიჯი 6

მშობიარობის შემდგომი ზრუნვა

თუ მშობიარობის შემდეგ საავადმყოფოში ხართ, თქვენ გაქვთ უფლება გამოიყენოთ თარჯიმნის დახმარება რათა განიხილოთ კონკრეტული მედიცინური საკითხები ბებიაქალთან და ექიმთან.

თქვენ ყოველთვის უნდა გქონდეთ სათანადო მხარდაჭერა ბავშვის კვების დროს და ასევე საკუთარი თავის მოვლის დროს. სახლში ყოფნისას, ბავშვის გაჩენიდან 10 დღეში რამდენჯერმე მოგაკითხავთ



ბებიაქალი.

ჯანმრთელობის ვიზიტორი გესტუმრებათ თქვენ და

თქვენს პატარას 11-14 დღიდან. ისინი ასევე გესტუმრებიან ორსულობის მიწურულს რათა დარწმუნდნენ, რომ ყველაფერი კარგად მიდის. თქვენი ჯანმრთელობის ვიზიტორი გეტყვით ისეთ საკითხებზე როგორცაა ბავშვის მუნიწაციის კლინიკები. მათ ასევე შეუძლიათ დაუკავშირდნენ თარჯიმანს ამ ვიზიტების

განსახორციელებლად.





გამოიყენეთ ჩვენი სატელეფონო თარჯიმნის სერვისი რათა დაუკავშირდეთ **NHS-ს** (ჯანმრთელობის ეროვნულ სამსახურს)

ტელეფონი 0141 319 5224

თქვენ შეგუიბებთან პაციენტის პირად პინ ნომერს, რომელიც არის 182987.

ამის შემდეგ დაგაკავშირებენ თარჯიმანთან სულ რაღაც 15 წამში. უთხარით თარჯიმანს ნომერი რომელზეც გინდათ დარეკოთ, მაგალითად 0141 347 8422 (სამშობიარო ჯავშანი)

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ ეს სერვისი რათა დაუკავშირდეთ ჩვენს ნებისმიერ სამსახურს, მათ შორის NHS24 (111) და სასწრაფო დახმარებას (999)



თქვენ გაქვთ უფლება ისარგებლოთ თარჯიმნის დახმარებით ყველა თქვენს შეხვედრაზე.

თუ გესაჭიროებათ თარჯიმნის დახმარება, აცნობეთ მომუშავე პერსონალს. ეს შეიძლება იყოს პირისპირ თარჯიმანი ან სატელეფონო თარჯიმნის სერვისი.

თუ გესაჭიროებათ პირისპირ თარჯიმანი, თქვენ შეგიძლიათ კონკრეტულად მოითხოვოთ ქალი ან მამაკაცი თარჯიმანი, თუმცა ეს შეიძლება ყოველთვის არ იყოს ხელმისაწვდომი ამიტომ შესაძლოა მოგიწიოთ დიდხანს ლოდინი.

რა უნდა გააკეთოთ თუ გსურთ თქვენს მკურნალობასთან დაკავშირებით საჩივრის დაწერა

პაციენტთა რჩევისა და მხარდაჭერის სერვისი დაგეხმარებათ დააფიქსიროთ პრეტენზია იმ შემთხვევაში თუ ხართ NHS-ის მოპყრობით უკმაყოფილო.

დაგვიკავშირდით ნომერზე 0800 917 2127.

თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ თარჯიმნის სერვისი ამ ნომერზე დასარეკად.



როგორ უნდა მოიქცეთ საგანგებო სიტუაციაში

თუ გაქვთ ვაგინალური სისხლდენა ან კრუნჩხვები და ტკივილი მუცლის ქვედა ნაწილში, ეს ყოველთვის ნაყოფის დაკარგვის მანიშნებელი არ არის; ვაგინალური სისხლდენა ხშირია ორსულობის პირველი 12 კვირის განმავლობაში. ამ პროცესს ეწოდება ნაყოფის დაკარგვის მუქარა. ამ შემთხვევაში ქალების უმეტესობა აგრძელებს ჯანსაღ ორსულობას, მაგრამ ზოგი შემხვევა მთავრდება ნაყოფის დაკარგვით.

თუ თქვენ ხართ 12 კვირაზე ნაკლები ორსული და გაქვთ მუცლის ტკივილი და სისხლდენა, მიმართეთ თქვენთან უახლოეს სასწრაფო დახმარების სამსახურს.

ასევე უნდა მიმართოთ სასწრაფო დახმარების სამსახურს იმ შემთხვევაში თუ:

- გაქვთ ძალიან ძლიერი მუცლის ტკივილი (შეიძლება ტკივილი იყოს მხოლოდ ერთ მხარეს)
- გაქვთ ბეჭის ტკივილი
- გაქვთ შედარებით ძლიერი სისხლდენა (მოგდით სისხლის კოლტები ან ყოველ ნახევარ საათში გიწევთ საფენის გამოცვლა)
- გაქვთ გონების დაკარგვის ეპიზოდები

გადაუდებელ სიტუაციაში შეგიძლიათ დაუკავშირდეთ მომუშავე პერსონალს სატელეფონო თარჯიმნის დახმარებით.

თუ თქვენი ორსულობა არის 12 კვირას გადაცილებული და გაქვთ სისხლდენა ან ტკივილი, ან გაქვთ ზემოთ ჩამოთვლილი სიმპტომებიდან რომელიმე, უნდა დარეკოთ თქვენი დაჯავშნილი საავადმყოფოს სამშობიარო განყოფილებაში რათა მიიღოთ დამატებითი რჩევები.

Queen Elizabeth University Hospital 0141 232 4363
Princess Royal Maternity Hospital 0141 211 3453/3454
Royal Alexandra Hospital 0141 314 6067
Vale of Leven Hospital დილის 8დან-სალამოს 8მდე 01389 817 411
Inverclyde Royal Hospital დილის 8დან-სალამოს 8მდე 01475 504 619

არასამუშაო საათებში შეგიძლიათ დარეკოთ
Royal Alexandra Hospital-ში 0141 314 6067



შეგიძლიათ გამოიყენოთ სატელეფონო თარჯიმნის სერვისი ნებისმიერ ჩამოთვლილ ნომერზე დასარეკად.